საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7507
06/12/2022

7507-21-2-202212061811

**შპს „სსსო"-ს**
**ელ.ფოსტა:** minadzenana175@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №6897 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის №58-ში სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის ანგარიშში სრულყოფილად არ არის გათვალისწინებული სააგენტოს 2022 წლის 24 ნოემბრის №21/7170 წერილში მითითებული შენიშვნები. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში ასვე წარმოდგენილი უნდა სამსხვრევი დანადგარიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს შემადგენელი ობიექტები, ასევე მათი განთავსების GPS კოორდინატები, გენ-გეგმაზე დატანით;
- სკრინინგის განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად). ასევე, საწარმოს განთავსების GPS კოორდინატები;
- დოკუმენტში წარმოდგენილი (დანართი 4) საწარმოს გენგეგმა არ არის გარჩევადი;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ობიექტის საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 220 მეტრით. შესაბამისად, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს სიტუაციური სქემა უახლოეს მოსახლესთან დაშორებული მანძილის მითითებით;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს სალექარისა და რეზერვუარის პარამეტრების შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებას თან უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან

თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში;

- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულად (PDF ფაილის ფორმატში).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო